საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე



ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე (30. I. 1872, სოფ. ხეთა, ახლანდ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, – 6. I. 1967, თბილისი), კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი. დაამთავრა თბილ. სემინარია (1895), ყაზანის სას. აკადემია (1899). პედაგოგად მუშაობდა სიმფეროპოლის სას. სემინარიაში (1899–1907), თბილ. სხვადასხვა სკოლაში (1907–37), გორისა და ცხინვალის პედ. ინ-ტებში (1937–58). 1894-იდან მისი წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა იმდროინდელ ქართ. პრესაში. ვ-ს მონოგრაფიები, *ლიტ.*-კრიტ. წერილები და ნარკვევები ეხება იაკობ ცურტაველის, ჩახრუხაძის, შოთა რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, რ. ერისთავის, ვაჟა-ფშაველას, შ. მღვიმელის, ი. ევდოშვილის, ვ. ბარნოვის, მ. ჯავახიშვილის, შ. დადიანის, ლ. ქიაჩელისა და სხვ. ქართვ. მწერლების შემოქმედებას. მასვე ეკუთვნის “მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობისა უძველესი დროიდან” (1909–10), მონოგრაფია “შიო მღვიმელი” და „ბავშვთა სამყარო” (1917), სახელმძღვანელო „სიტყვიერების თეორია” (1922). XIX ს. *ლიტ.* მოვლენათა ცოცხალი სურათებია წარმოდგენილი მისი მემუარული ჟანრის ვრცელ „მოგონებებში” (ნაწ. 1–2, 1956–62) და სხვ.

თხზ.: ვაჟა-ფშაველა, ტფ., 1921; ქართველი მწერლების სილუეტები, [ტ.] 1, თბ., 1956; XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები, თბ., 1957; კრიტიკული წერილები, [ტ.] 1, თბ., 1958; შალვა დადიანის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1962; თანამედროვე ქართველი მწერლები, თბ., 1972.

ი. მეგრელიძე